**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**„იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის**

**სხდომის ოქმი N8**

**ქ. ლანჩხუთი** **19.09.2024 წელი**

**11:00 საათი**

**სხდომას უძღვებოდა:** „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ხელაძე.**

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები**: ია მოქია, დარეჯან ბურჭულაძე, ნინო მშვიდობაძე და კარლო წილოსანი.

**არ ესწრებოდნენ:** კახა ასკურავა და მაკა მშვიდობაძე.

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **ბესიკ ტაბიძე**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა**, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე** და საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ია ბარამიძე.**

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

**/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; შოთა ჩაგუნავა/**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი

დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მისი განმარტებით, განსახორციელებელი ცვლილების ფარგლებში დადგენილებით დამტკიცებულ ფორმებს ემატება შემოწმების აქტისა (მითითების გარეშე) და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის მიზნით განსახორციელებელი სამშენებლო ობიექტის ადგილზე დათვალიერების ოქმის ფორმები. ასევე უკვე დამტკიცებული ფორმები დაკორექტირდა „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს შესაბამისად.

**კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

**მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.**

**ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ**

**საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე /გიორგი ხელაძე/**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის დასკვნა №8**

**26.08.2024 წელი**
**14.00 საათი**

მიმდინარე წლის 19 სექტემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აპრილის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; შოთა ჩაგუნავა/

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აპრილის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

**მომხრე: 5**
**წინააღმდეგი: 0**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის" კომისიის თავმჯდომარე** **/გიორგი ხელაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს "იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

19.09.2024 წელი
11:00 საათი

| | სახელი, გვარი | გამოცხადების დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | გიორგი ხელაძე | 10 55. | |
| 2 | ია მოქია | 10:55. | |
| 3 | კახაბერ ასკურავა | არ ესწრებოდა | |
| 4 | მაკა მშვიდობაძე | არ ესწრებოდა | |
| 5 | კარლო წილოსანი | 10 55 | |
| 6 | ნინო მშვიდობაძე | 10:8[illegible] | |
| 7 | დარეჯან ბურჭულაძე | 10:50 | |